

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წესდების ახალი რედაქცია დამტკიცდა სეოკ-ის სესიაზე 2019 წლის 18 დეკემბერს.

რეგლამენტის თანახმად, წესდების ახალი რედაქცია გადაეგზავნა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტის (სოკ-ი) შესაბამის სამსახურს. სოკ-იდან მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, წესდების წინამდებარე, საბოლოო რედაქცია რატიფიცირებულია სეოკ-ის წევრების მიერ 2020 წლის 4 თებერვალს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის (სეოკ-ი) – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის

წესდება

(ახალი რედაქცია)

პრეამბულა

თბილისში, 1989 წლის 6 ოქტომბერს გამართულ კონფერენციაზე დაფუძნდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი (სეოკ-ი). დამფუძნებელთა კრებამ დაამტკიცა წესდება და დეკლარაციის ტექსტი. პირველ პრეზიდენტად არჩეულ იქნა ნონა გაფრინდაშვილი.

1993 წლის 23 სექტემბერს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 101-ე სესიამ სეოკ-ი სრულუფლებიან წევრად მიიღო.

წინამდებარე წესდება სრულად შეესაბამება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოლიმპიურ ქარტიას და მასში სხვადასხვა პერიოდში შეტანილ ცვლილებებს.

I. ზოგადი დებულებანი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (შემდგომში სეოკ-ი) არის ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც მოქმედებს ვადის განუსაზღვრელად და მოწოდებულია ხელი შეუწყოს ოლიმპიური მოძრაობისა და სპორტის განვითარებას საქართველოში.

სეოკ-ი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, საერთაშორისო სამართლის ნორმების, ოლიმპიური ქარტიის, სპორტის საერთაშორისო ფედერაციებისა და ამ წესდების საფუძველზე, მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან (შემდგომში სოკ-ი), ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან ასოციაციასთან (შემდგომში ეოკა) და ევროპის ოლიმპიურ კომიტეტებთან (შემდგომში ეოკ-ი).

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური მოძრაობა საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობის შემადგენელი ნაწილია და კისრულობს პასუხისმგებლობას ოლიმპიური ქარტიისა და ოლიმპიური მოძრაობის დებულებათა დასაცავად და სოკ-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების განსახორციელებლად.

ეროვნულ დონეზე ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების მისიისა და როლის გათვალისწინებით, სეოკ-ი აქტიურად მონაწილეობს მშვიდობის პროპაგანდაში, სპორტში ქალთა მასობრივი გაერთიანების ხელშემწყობ ინიციატივებში, სპორტული ეთიკის დაცვასა და განმტკიცებაში, მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსის მოთხოვნათა განხორციელებაში, ებრძვის რასიზმის ყოველგვარ გამოვლენას და სათანადო ყურადღებას უთმობს გარემოს დაცვის საკითხებს.

სეოკ-ი აღიარებს სოკ-ის უმაღლეს ხელისუფლებას და ოლიმპიური ქარტიის უზენაესობას.

სეოკ-ის უფლებამოსილება ვრცელდება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე და თავისი მიზნებიდან გამომდინარე მოქმედებს როგორც ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

სეოკ-ს აქვს თავისი სიმბოლოები (დროშა, ჰიმნი, ემბლემა, ვიმპელი, სამკერდე ნიშანი), მრგვალი ბეჭედი, დამოუკიდებელი ბალანსი, ქონება, საანგარიშსწორებო საბანკო ანგარიშები როგორც ეროვნულ, ასევე უცხოურ ვალუტაში.

სეოკ-ი დამოუკიდებელია სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების, პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისგან და თანამშრომლობს მათთან ხელშეკრულების საფუძველზე.

სეოკ-ი უფლებამოსილია:

- საკუთარი სახელით შეიძინოს ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები, დადოს ხელშეკრულებები, კანონით დადგენილი წესით დააფუძნოს ორგანიზაციები, ფილიალები (წარმომადგენლობები) როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს მის აქტივებს საქართველოს კანონმდებლობისა და მიზნების შესაბამისად, იყოს მოსარჩლე და მოპასუხე სასამართლოსა და არბიტრაჟში.

- დადგენილი წესის მიხედვით, საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ან საზღვარგარეთ შეასრულოს ყოველგვარი სახის გარიგება, მათ შორის საგარეო ვაჭრობის და სხვა იურიდიული აქტები საქართველოს და უცხოეთის გაერთიანებებთან, საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და ფირმებთან.
- შექმნას საწარმოები, დაწესებულებები, კომერციული ორგანიზაციები, მოიზიდოს ინვესტიციები, მათ შორის უცხოური, რომლებიც ხელს შეუწყობენ სეოკ-ის მიზნების, ამოცანების და უფლებების განხორციელებას.
- მოაწყოს ლატარიები, აუქციონები, კულტურული, სპორტული და სხვა ღონისძიებები. სეოკ-ის ექსკლუზიური უფლებაა განახორციელოს სარეკლამო და სპონსორული საქმიანობა საქართველოს ოლიმპიურ ნაკრებ გუნდზე, საქართველოს ოლიმპიურ დელეგაციებზე და მათ ცალკეულ წევრებზე, ტექსტებითა და გამოსახულებებით უზრუნველყოს სარეკლამო საქმიანობის ფორმირება და გამოყენება რეკლამის სახით.

ოლიმპიური ქარტიის წესების თანახმად და ამ წესდების XII პარაგრაფის მიხედვით, სეოკ-ს შეუძლია საქართველოს ტერიტორიაზე გამოიყენოს ოლიმპიური ემბლემა, სიმბოლო, დროშა, დევიზი და დასახელება (“ოლიმპიური“, “ოლიმპი“ და სხვ.).

სეოკ-ს უფლება აქვს ყველა იმ ღონისძიების სარეკლამო უფლებაზე, ტელევიზიის ჩათვლით, რომელიც სეოკ-ის მიერ ან მისი ეგიდით ტარდება საქართველოს ტერიტორიაზე.

სეოკ-ის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი 0105. მაჩაბლის ქ. №11.

ტელ: +(995 32) 251 00 57 / 251 00 58

ფაქსი: +(995 32) 293 42 43

ელ.ფოსტა: info@geonoc.org.ge

ვებ-გვერდი : www.geonoc.org.ge

II. სეოკ-ის მისია და როლი

1. სეოკ-ის მისიაა ოლიმპიური ქარტიის შესაბამისად უზრუნველყოს საქართველოში ოლიმპიური მოძრაობის განვითარება, ხელშეწყობა და დაცვა.
2. სეოკ-ის როლია:
 - 2.1. საქართველოში სპორტისა და განათლების სფეროში ოლიმპიური საგანმანათლებლო პროგრამების ხელშეწყობის გზით, ყველა დონეზე - სკოლებში, ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში ოლიმპიზმის ფუძემდებლური პრინციპებისა და ფასეულობების პროპაგანდა. აგრეთვე ისეთი დაწესებულებების შექმნის ხელშეწყობა, რომელთა მიზანია ოლიმპიური განათლება - ეროვნული ოლიმპიური აკადემია, ოლიმპიური მუზეუმი, ოლიმპიური ბიბლიოთეკა და ოლიმპიურ მოძრაობასთან დაკავშირებული სხვა (მათ შორის კულტურული) პროგრამები.
 - 2.2. სეოკ-ი ყოველმხრივ უწყობს ხელს ქვეყანაში მაღალი სპორტული მიღწევების წარმოჩენას, მოსახლეობის მასობრივ ჩაბმას მოძრაობაში “სპორტი ყველასათვის“ და შეაქვს თავისი წვლილი სპორტული კადრების მომზადებაში.

- 2.3. სეოკ-ის განსაკუთრებული ფუნქციაა: ქვეყანაში ოლიმპიური ქარტიის განუხრელი დაცვის უზრუნველყოფა.
- 2.4. მაღალი მიღწევების სპორტის განვითარება და მასობრივი სპორტის ხელშეწყობა.
- 2.5. სპორტის სპეციალისტთა (მწვრთნელები, მსაჯები, ადმინისტრატორები) სწავლების ხელშეწყობა სემინარების, კურსების, ტრენინგების მოწყობის გზით და ასეთი ღონისძიებების მეშვეობით ოლიმპიზმის ძირითადი პრინციპების წარმოჩენა.
- 2.6. სპორტში ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისა და ძალადობის წინააღმდეგ ზომების მიღება. სოკ-ისა და საერთაშორისო სპორტული ფედერაციების მიერ აკრძალული ნივთიერებებისა და პროცედურების გამოყენების წინააღმდეგ შესაბამისი ღონისძიებების გატარება; მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსის აღიარება და განხორციელება იმგვარად, რომ სეოკ-ის ანტიდოპინგური კურსი და წესები, წევრობასთან და/ან დაფინანსებასთან დაკავშირებული მოთხოვნები და შედეგების მართვის პროცედურები სრულად შეესაბამებოდეს მსოფლიოს ანტიდოპინგურ კოდექსს და აღიარებდეს ამ კოდექსში მოცემულ ეოკ-ის ყველა ვალდებულებასა და როლს.
- 2.7. სეოკ-ი ეროვნულ ფედერაციებთან ერთად უზრუნველყოფს საინფორმაციო-მეთოდურ მხარდაჭერას ანტიდოპინგურ საკითხებზე. მსოფლიოს ანტიდოპინგური სააგენტოსა და საქართველოს ეროვნული ანტიდოპინგური სააგენტოს მოთხოვნების უხეში დარღვევებისა და უგულბებლყოფის შემთხვევაში, სეოკ-ი უფლებამოსილია დროებით ან განუსაზღვრელი ვადით შეუხეროს წევრობა ოლიმპიური კომიტეტის შესაბამის სუბიექტებს (ფედერაციებს). ხელს უწყობს და მხარს უჭერს სპორტსმენთა სამედიცინო მომსახურებასა და ჯანდაცვასთან დაკავშირებულ საქმიანობას.
3. სეოკ-ს გააჩნია ექსკლუზიური უფლება: განსაზღვროს, მოამზადოს, ორგანიზაცია გაუკეთოს და უხელმძღვანელოს თავის დელეგაციას ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე, მათ შორის ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებზე, რეგიონალურ, კონტინენტურ და მსოფლიო კომპლექსურ (მულტისპორტულ) სპორტულ შეჯიბრებებზე, რომლებიც ტარდება სოკ-ის, ეოკა-ს და ეოკ-ის პატრონაჟით ან ეგიდით. სეოკ-ი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს ოლიმპიურ თამაშებში სპორტსმენთა წარგზავნის სახით.
4. სეოკ-ი უფლებამოსილია დაასახელოს ქალაქი ან დასახლებული პუნქტი, რომელსაც შეუძლია განაცხადი წარადგინოს საქართველოში სოკ-ის, ეოკა-ს და ეოკ-ის ეგიდითა და პატრონაჟით სპორტული შეჯიბრებების ორგანიზაციასა და ჩატარებაზე.
5. სეოკ-ი ზრუნავს თავის დელეგაციის წევრთა აღკაზმულობაზე, მგზავრობასა და დაბინავებაზე. მათ სასარგებლოდ აფორმებს ხელშეკრულებებს, აზღვევს უბედური შემთხვევებისგან (სიკვდილი, ავადმყოფობა, სამედიცინო და ფარმაცევტული ხარჯები) და სამოქალაქო პასუხისმგებლობას კისრულობს მესამე პირთა წინაშე. სეოკ-ი პასუხისმგებელია თავისი დელეგაციის წევრთა ქცევაზე.
6. სეოკ-ს გააჩნია ერთპიროვნული და ექსკლუზიური უფლება, მიიღოს გადაწყვეტილება და განსაზღვროს, თუ როგორი ტანსაცმელი და ფორმა უნდა ატარონ და რა ინვენტარით უნდა ისარგებლონ მისი დელეგაციის წევრებმა ოლიმპიურ თამაშებზე, მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სპორტულ შეჯიბრებებზე და ცერემონიებზე. ეს ექსკლუზიური უფლება არ ვრცელდება სპეციალურ

ეკიპირებასა და აღჭურვილობაზე, რომელსაც დელეგაციის წევრი სპორტსმენები ატარებენ და იყენებენ სპორტული შეჯიბრებების დროს.

7. ოლიმპიური მოძრაობის პოპულარიზაციის მიზნით, სეოკ-ი დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად ყოველწლიურად ატარებს ოლიმპიურ კვირეულებს, როგორც საერთაშორისო ოლიმპიური, ისე საქართველოს ოლიმპიური დღისადმი მიძღვნილ მასობრივ გარბენებსა და სხვადასხვა სახის სპორტულ ღონისძიებებს.
8. სეოკ-ი წარადგენს თავის კანდიდატს სოკ-ში, ეოკა-ში, ეოკ-ში და მათი კომისიების შემადგენლობაში ასარჩევად.
9. სეოკ-ი ზრუნავს სპორტისა და ოლიმპიზმის სფეროში კულტურისა და ხელოვნების პროპაგანდაზე, მონაწილეობს ოლიმპიური სოლიდარობის პროგრამებში.
10. სეოკ-ი თავის მოსაზრებებს უზიარებს სოკ-ს ოლიმპიური ქარტიის, ოლიმპიური თამაშების, მათი ორგანიზაციისა და ჩატარების, ასევე ოლიმპიური მოძრაობის სხვა საკითხებთან დაკავშირებით.
11. სეოკ-ი ზრუნავს თანამშრომლობის დამყარებაზე სოკ-თან, ეოკა-სთან, ეოკ-თან, ოლიმპიურ სოლიდარობასთან, საერთაშორისო ოლიმპიურ აკადემიასთან, საერთაშორისო ოლიმპიურ მუზეუმთან, მათ რეგიონალურ და კონტინენტალურ გაერთიანებებთან, საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებთან და ასოციაციებთან, სხვა ქვეყნების ეოკ-ებთან.
12. სეოკ-ი შესაბამის ღონისძიებებს ატარებს სპორტსა და ოლიმპიურ მოძრაობაში რასობრივი და ნებისმიერი სხვა სახის დისკრიმინაციის, ძალადობის წინააღმდეგ.
13. სეოკ-ი იცავს სპორტსმენების, შშმ სპორტსმენების, მწვრთნელების, მსაჯების, სპორტის სხვა მუშაკებისა და სპორტის ვეტერანების ინტერესებს დადგენილი წესით.
14. სეოკ-ი მისი შესაძლებლობებისა და კომპეტენციის ფარგლებში, აქტიურად მონაწილეობს გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური უსაფრთხოებისთვის დაგეგმილ ღონისძიებებში.
15. სეოკ-ი ზრუნავს ქალთა ფართო მონაწილეობაზე მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტში, ხელს უწყობს მათ არჩევას სპორტისა და ოლიმპიური მოძრაობის მართვის სტრუქტურებში.
16. სეოკ-ი აქტიურად მონაწილეობს მოძრაობაში „სამართლიანი თამაშები“ და ფართო პროპაგანდას უწევს ქვეყანაში სპორტული ეთიკის პრინციპების დაცვას.
17. ოლიმპიური ქარტით განსაზღვრული მისიის შესრულების მიზნით, სეოკ-ს შეუძლია ითანამშრომლოს სამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებთანაც ჰარმონიული ურთიერთობა უნდა დამყარდეს, თუმცა არ უნდა დაუკავშირდეს ისეთ საქმიანობას, რომელიც ეწინააღმდეგება ოლიმპიურ ქარტიას.
- 17.1. სეოკ-ს შეუძლია ასევე ითანამშრომლოს არასამთავრობო ორგანიზაციებთან.
18. სეოკ-ი აღიარებს და თავის რიგებში აწევრიანებს საქართველოს იმ ეროვნულ სპორტულ ფედერაციებს, რომლებიც არიან სოკ-ის მიერ აღიარებული საერთაშორისო სპორტული ფედერაციების წევრები და თავის საქმიანობას წარმართავენ ოლიმპიური ქარტიისა და საკუთარი წესდების შესაბამისად.
- 18.1. სეოკ-ი სპორტის ყოველ სახეობაში ცნობს მხოლოდ ერთ ეროვნულ სპორტულ ფედერაციას.
19. სეოკ-ი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობისას ინარჩუნებს თავის ავტონომიას და არ ექცევა არავითარი პოლიტიკური, რელიგიური

და ეკონომიკური ზეგავლენის ქვეშ, რომლებსაც შეუძლიათ საქართველოში ოლიმპიური ქარტიის მოთხოვნათა განხორციელების შეფერხება.

III. სოკ-ის უფლებები

1. მხოლოდ სოკ-ის ექსკლუზიური უფლებაა საქართველოში იყოს რეგისტრირებული და საქმიანობდეს „ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი“-ს სახელწოდებით.
2. სოკ-ის უფლებებია:
 - 2.1. ოლიმპიური ქარტიის შესაბამისად უზრუნველყოს ოლიმპიური დელეგაციის (სპორტსმენები, გუნდის ხელმძღვანელები და გუნდის სხვა პერსონალი) მონაწილეობა ოლიმპიურ თამაშებში.
 - 2.2. ისარგებლოს ოლიმპიური სოლიდარობის დახმარებით;
 - 2.3. გამოიყენოს განსაზღვრული ოლიმპიური რეკვიზიტები სოკ-ის მიერ მინიჭებული უფლების საფუძველზე, ასევე მასთან დაკავშირებული წესებისა და მათი განმარტებების შესაბამისად.
 - 2.4. გაერთიანდეს სოკ-ის მიერ აღიარებულ ეოკ-თა ასოციაციებში;
 - 2.5. გამოთქვას საკუთარი მოსაზრება ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის კანდიდატურებთან დაკავშირებით.
 - 2.6. სოკ-ის თხოვნით მონაწილეობა მიიღოს სოკ-ის კომისიების მუშაობაში, სოკ-ის მიერ ან მისი ეგიდით წარმართულ საქმიანობაში, მათ შორის - რეგიონალურ თამაშებში.
 - 2.7. ითანამშრომლოს სოკ-ის კონგრესების მომზადების პროცესში.
 - 2.8. ისარგებლოს სოკ-ისთვის ოლიმპიური ქარტიითა და სოკ-ის მიერ მინიჭებული სხვა უფლებებით.
3. სოკ-ი იღებს დახმარებას საკუთარი მოვალეობის შესრულებისთვის სოკ-ის სხვადასხვა დეპარტამენტებისა და ოლიმპიური სოლიდარობისგან.
4. ოლიმპიური ქარტიის დარღვევის შემთხვევაში, დადგენილ ღონისძიებებთან და სანქციებთან ერთად, სოკ-ის აღმასრულებელ საბჭოს შეუძლია ეოკ-ის ქვეყანაში ოლიმპიური მოძრაობის დაცვის მიზნით მიიღოს ნებისმიერი შესაბამისი გადაწყვეტილება, მათ შორის ამ ეოკ-ის აღიარების გაუქმების ან შეჩერების შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში მოქმედი კანონი ან სხვა დებულება, ან სამთავრობო ან სხვა ორგანოს რომელიმე აქტი განაპირობებს ეოკ-ის საქმიანობის ან მისი ნების გამოსატყვის შეზღუდვას.
5. ქვეყნის ხელისუფლება თანამშრომლობს სოკ-თან მხოლოდ ხელშეკრულების საფუძველზე, კანონით ნებადართული ნებისმიერი ფორმით, თუკი ასეთი თანამშრომლობა პირდაპირ ან ირიბად არ ეწინააღმდეგება ოლიმპიური ქარტიის დებულებებსა და წინამდებარე წესდებით განსაზღვრულ სოკ-ის საქმიანობას და მიზნებს.

IV. სოკ-ის წევრობა

1. სოკ-ის წევრი შეიძლება გახდეს საქართველოს ნებისმიერი იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომლებიც აღიარებენ ოლიმპიურ ქარტიას, წინამდებარე წესდებას,

განსაკუთრებულ სამსახურს უწევენ მაღალი მიღწევების სპორტსა და ოლიმპიზმს. წევრად მიღების შესახებ კანდიდატზე რეკომენდაციას გასცემენ სპორტის ეროვნული ფედერაციები, სეოკ-ის რეგიონალური ორგანიზაციები, ასოციაციები და სეოკ-ის მიერ აღიარებულ სხვა ორგანიზაციები. სეოკ-ის პრეზიდენტს, აღმასკომის წევრებს უფლებამოსილება ენიჭებათ (აღმასკომის სხდომაზე, სესიაზე) წარადგინონ კანდიდატი სეოკ-ის წევრობაზე.

1.1. სეოკ-ის შემადგენლობაში არიან:

1.1.1. სეოკ-ის წევრები ხმის უფლებით:

- ყველა ის ეროვნული სპორტული ფედერაცია, რომლებიც აღიარებულია შესაბამისი საერთაშორისო ფედერაციის მიერ და რომელთა სახეობებიც შეტანილია ოლიმპიური თამაშების პროგრამაში. აღნიშნული ფედერაციები ან მათი წარმომადგენლები ყოველთვის უნდა შეადგენდნენ სეოკ-ის კენჭისყრაში მონაწილე ხმის უფლების მქონე დელეგატთა უმრავლესობას.
- ოლიმპიური ქარტიის შესაბამისად, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი საქართველოში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც წარმოადგენს სოკ-ს, ითვლება როგორც სეოკ-ის, ისე მისი აღმასკომის წევრად და გააჩნია ხმის უფლება სეოკ-ის სესიებზე და მის აღმასკომის სხდომებზე.
- საქართველოს ოლიმპიელთა ასოციაცია.
- საქართველოს ოლიმპიელთა კლუბი.
- სეოკ-ის სპორტსმენთა კომისია, წარმოდგენილი მინიმუმ ორი სპორტსმენით (ერთი კაცი და ერთი ქალი), რომლებიც მონაწილეობდნენ ბოლო სამი ოლიმპიური თამაშებიდან ერთში მაინც და რომლებიც არჩეულნი არიან სოკ-ის დებულებების შესაბამისად დაფუძნებული სეოკ-ის სპორტსმენთა კომისიიდან.
- სეოკ-ის რეგიონალური ორგანიზაციები;
- საქართველოს ეროვნული ოლიმპიური აკადემია.
- საქართველოს ოლიმპიური მუზეუმი.
- საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი.
- საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია.
- საქართველოს ოლიმპიური ფილატელიის ასოციაცია.
- საქართველოს კულტურული ოლიმპიადის ეროვნული ასოციაცია.
- საქართველოს ეროვნული პარალიმპიური ასოციაცია.
- საქართველოს ეროვნული ანტი-დოპინგური სააგენტო.
- საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია.
- საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაცია.
- საქართველოს ეროვნული ფედერაცია „სპორტი ყველასათვის.“
- საქართველოს სპორტის ქვიშის სახეობათა ეროვნული ასოციაცია.
- საქართველოს სპორტის არაოლიმპიურ სახეობათა ეროვნული კომიტეტი.
- ქართულ ოლიმპიურ მოძრაობაში განსაკუთრებული დამსახურების მქონე ფიზიკური და იურიდიული პირები (სეოკ-ის პრეზიდენტის/აღმასკომის წევრის წარდგინებით და აღმასკომის გადაწყვეტილებით), რომელთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ხუთს.
- სეოკ-ის აღმასკომის წევრები.

- საქართველოსთვის სპორტის ტრადიციულ სახეობათა არაოლიმპიური ფედერაციები (ასოციაციები), რომელთაც განსაკუთრებული წვლილი შეაქვთ ქვეყანაში სპორტის განვითარების, პოპულარიზაციის, ოლიმპიური იდეალების დამკვიდრების და განვრცობის საქმეში და რომელთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ხუთს. არაოლიმპიურ ფედერაციათა შერჩევა ხდება სეოკ-ის პრეზიდენტის წარდგინებით და აღმასკომის დადგენილებით.

1.1.2. წევრები ხმის უფლების გარეშე:

- სეოკ-ის საპატიო პრეზიდენტები.
- სეოკ-ის მუდმივი წევრები.
- სეოკ-ის საპატიო წევრები.

2. სეოკ-ის პრეზიდენტის წარდგინებით და აღმასკომის დადგენილებით, ჩამონათვალში სუბიექტთა გამოკლების ან დამატების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება დამტკიცდება მომდევნო სესიაზე.

3. მთავრობამ ან სხვა სახელმწიფო ორგანომ არ უნდა დანიშნოს სეოკ-ის არც ერთი წევრი. თუმცა სეოკ-ს შეუძლია (კანდიდატის თანხმობით) თავისი შეხედულებისამებრ მიიღოს გადაწყვეტილება, რომ წევრად აირჩიოს ასეთი ორგანოს წარმომადგენელი.

4. სეოკ-ის და მისი აღმასრულებელი ორგანოს კენჭისყრაში მონაწილე ხმათა უმრავლესობას შეადგენენ სპორტის ოლიმპიურ სახეობათა ფედერაციების ხმები. ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას მხედველობაში მიიღება მხოლოდ სეოკ-ის აღმასრულებელი საბჭოს წევრებისა და სპორტის ოლიმპიურ სახეობათა ფედერაციების ხმები.

5. ოლიმპიური ქარტიის თანახმად, სეოკ-ის წევრი საქართველოდან, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, ჩაითვლება სეოკ-ისა და მისი აღმასკომის წევრად და აქვს ხმის უფლება სეოკ-ის სესიებსა და აღმასკომის სხდომებზე.

6. სეოკ-ის წევრებს არ ეკისრებათ პირადი პასუხისმგებლობა სეოკ-ის დაავალიანებებთან, ან სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებით, თუ ისინი უშუალოდ არ არიან კავშირში აღნიშნულთან.

7. სეოკ-ის წევრები ფუნქციებს ასრულებენ საზოგადოებრივ საწყისებზე, გარდა მართვის აპარატის თანამშრომლებისა.

8. სეოკ-ის წევრად მიღებასთან და წევრის უფლებების ჩამორთმევასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას ღებულობს სეოკ-ის სესია.

V. სეოკ-ში წევრად შესვლა და შემადგენლობიდან გასვლა

1. ამ წესდების IV პარაგრაფით გათვალისწინებული იურიდიული და ფიზიკური პირების სეოკ-ში წევრად შესვლა და შემადგენლობიდან გასვლა ნებაყოფლობითია.
2. სეოკ-ის წევრად მიღების თაობაზე სეოკ-ის წევრობის მსურველი პირადად წარმოადგენს განცხადებას საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის

აღმასკომის სახელზე აღმასკომის სხდომის ჩატარებამდე 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე მაინც.

3. სეოკ-ის წევრად მიღების საკითხი განიხილება შემდეგი წესით: განცხადების მიღების შემდგომ სეოკ-ის პრეზიდენტი ან აღმასკომის წევრი უფლებამოსილია სეოკ-ის აღმასკომს წარუდგინოს საკითხი წევრობის მსურველის სეოკ-ის წევრად მიღების ან არმიღების შესახებ. აღმასკომი ვალდებულია წევრად მიღების ან არმიღების საკითხი გადაწყვიტოს ოლიმპიური ქარტიისა და ამ წესდებით გათვალისწინებული პროცედურების სრული დაცვით. სეოკ-ის აღმასკომის პირობითი გადაწყვეტილება საბოლოო დამტკიცებისთვის წარედგინება მომდევნო სესიას.
4. სეოკ-ის წევრად პირობითი მიღების, გარიცხვის ან უფლებების შეჩერების საკითხი წყდება აღმასკომის სხდომაზე და ეს გადაწყვეტილება ექვემდებარება საბოლოო რატიფიკაციას სეოკ-ის მომდევნო სესიის მიერ.

VI. სეოკ-ის წევრთა უფლება-მოვალეობები

1. სეოკ-ის მიერ წინამდებარე წესდებით უზრუნველყოფილია წევრის უფლება:
 - 1.1. წარმოადგინოს მისი და მისი წევრების ინტერესები.
 - 1.2. აირჩიოს ან არჩეულ იყოს სეოკ-ის ყველა არჩევით თანამდებობაზე.
 - 1.3. წარმოადგინოს წინადადებები და აქტიური მონაწილეობა მიიღოს სეოკ-ის გადაწყვეტილებების, დადგენილებების შესრულების, საერთო ღონისძიებების მომზადებისა და ჩატარების პროცესში.
 - 1.4. მიიღოს ინფორმაცია სეოკ-ის საქმიანობის შესახებ, აქტიურად მონაწილეობდეს სეოკ-ის არჩევითი ორგანოების მუშაობაში.
 - 1.5. სეოკ-ის აღმასკომის დავალებით მონაწილეობა მიიღოს თათბირებში, კონფერენციებსა და კონგრესებში, რომლებსაც ატარებენ სოკი და სხვა საერთაშორისო სპორტული გაერთიანებები. იგი ასევე უფლებამოსილია გაეცნოს საქართველოს სპორტული ფედერაციებისა და მათი წარმომადგენლების საქმიანობას საერთაშორისო ფედერაციებში.
 - 1.6. დადგენილი წესით წინადადებით შევიდეს სეოკ-ის აღმასკომში და წარადგინოს მოსაზრებები სესიაზე განსახილველად აუცილებელ და მნიშვნელოვან საკითხებზე.
 - 1.7. გავიდეს სეოკ-ის შემადგენლობიდან.
 - 1.8. მონაწილეობა მიიღოს სეოკ-ის კომისიებისა და სეოკ-ის მიერ აღიარებული ფედერაციების საქმიანობაში.
2. სეოკ-ის წევრები ვალდებული არიან:
 - 2.1. დაიცვან და შეასრულონ სეოკ-ის წესდება.
 - 2.2. დაიცვან ოლიმპიური ქარტია და იგივე მოითხოვონ წევრი პირებისაგან.
 - 2.3. გაითვალისწინონ და საქმიანობაში ასახონ სეოკ-ის მართვის ორგანოების რეკომენდაციები.
 - 2.4. არ დაუშვან ქმედება და წინ აღუდგნენ ყოველგვარ გამოვლინებას, რომელიც ზიანს მიაყენებს სეოკ-სა და მის წევრ ორგანიზაციებს.
 - 2.5. პოპულარიზაცია გაუწიონ ოლიმპიური მოძრაობის პრინციპებს და იზრუნონ მათ დაცვაზე.

- 2.6. დადგენილ ვადაში და ჯეროვნად შეასრულონ სეოკ-ის მიერ დაკისრებული ვალდებულებები.
- 2.7. განუხრელად დაიცვან და ხელი შეუწეონ სეოკ-ის ავტონომიას სოკ-ის იურისდიქციის ფარგლებში.
- 2.8. წვერი ორგანიზაცია ვალდებულია მიაწოდოს სეოკ-ს ინფორმაცია საკუთარ წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების, პრინციპულ საკითხებზე მიღებული დადგენილებების, ხელმძღვანელ ორგანოებში ცვლილებებისა და სხვა არსებითად მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.
- 2.9. სეოკ-ში წარადგინოს სტატისტიკური ანგარიშები და შედეგები დადგენილი ფორმებისა და ვადების შესაბამისად.
- 2.10. ისარგებლონ მათთვის ოლიმპიური ქარტიითა და სოკ-ის მიერ მინიჭებული სხვა უფლებებით.
- 2.11. სეოკ-ის წევრები, გარდა ადმინისტრაციაში დასაქმებული პირებისა, არ იღებენ ხელფასს ან რაიმე სახის ანაზღაურებას მათ მიერ გაწეული სამუშაოს საკომპენსაციოდ.
3. სეოკ-ის წვერი კარგავს სტატუსს თუ:
 - ლიკვიდირებული იქნება ორგანიზაცია, რომელსაც ის წარმოადგენს.
 - შეიცვლის საქართველოს მოქალაქეობას.
 - გადადგება.
4. სეოკ-ის წვერის პასუხისმგებლობა:
 - 4.1. სეოკ-ის წვერს შეიძლება შეუხერდეს უფლებამოსილება აღმასკომის წევრთა უბრალო უმრავლესობის გადაწყვეტილებით უახლოესი სესიის ჩატარებამდე, თუ:
 - დაარღვევს ოლიმპიური ქარტიით და ამ წესდებით განსაზღვრულ მოთხოვნებს ან ჩაიდენს მოქალაქისთვის შეუფერებელ საქციელს, რომელიც შეუთავსებელი იქნება სეოკ-ის წვერობასთან.
 - ორი წლის განმავლობაში არ დაესწრება სეოკ-ის სესიებს (გარდა საპატიო წევრისა).
 - ვერ ან არ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას.
 - გადაწყვეტილება წვერობის შეჩერების შესახებ წარედგინება სეოკ-ის სესიას.
 სეოკ-ის წვერი უფლებამოსილია სესიის მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღებამდე წარადგინოს თავისი მოსაზრება და არგუმენტები.
5. სეოკ-ში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ, პირი აღმასკომის წარდგინებით სესიამ შეიძლება აირჩიოს სეოკ-ის საპატიო პრეზიდენტად, საპატიო ან მუდმივ წევრად.
 - 5.1. აღნიშნული სტატუსი ძალაშია სიცოცხლის ბოლომდე, თუ ადგილი არ ექნება 4.1. გარემოებას.
 - 5.2. მოქმედი პრეზიდენტის მიერ ისინი მოიწვევიან სეოკ-ის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე, მათ შეუძლიათ დაესწრონ სესიებს და აღმასკომის სხდომებს. საპატიო პრეზიდენტებს, საპატიო წევრებს და მუდმივ წევრებს არ გააჩნიათ ხმის უფლება, მაგრამ მათ შეუძლიათ სხდომებზე სიტყვით გამოსვლა.

VII. სეოკ-ის ხელმძღვანელი ორგანოები

1. სეოკ-ის ხელმძღვანელი ორგანოებია:
 - სესია (საერთო კრება).
 - აღმასრულებელი კომიტეტი (გამგეობა).
2. ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საწვსდებო მიზნების უკეთ განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, სეოკ-ში იქმნება რეგიონალური ოლიმპიური ორგანიზაციები.
3. პრეზიდენტი საჭიროებისამებრ ქმნის მუდმივ ან სხვა რეგულარულ, საგანგებო კომისიებს და მუშა ჯგუფებს სესიისთვის, სეოკ-ის აღმასრულებელი კომიტეტისა და პრეზიდენტისთვის კონსულტაციების გაწვევის მიზნით.

VIII. სესია (საერთო კრება)

1. სესია წარმოადგენს სეოკ-ის გენერალურ შეკრებას (საერთო კრებას). იგი სეოკ-ის უზენაესი ორგანოა. სესია მოიწვევა აღმასკომის მიერ არანაკლებ წელიწადში ერთხელ მაინც. სეოკ-ს სესიის დღის წესრიგში შეაქვს წლიური და აუდიტის ფინანსური ანგარიშების პრეზენტაცია და ამავე დროს, შექმნილი ვითარების მიხედვით, თანამდებობის პირებისა და წევრების აღმასკომში არჩევის საკითხი. სეოკ-ის თანამდებობის პირებისა და წევრების არჩევა ხორციელდება არაუმეტეს ოთხი წლის ვადით. შესაძლებელია მათი ხელახლა არჩევა.
- 1.1. საანგარიშო-საარჩევნო სესია მოწვეულ უნდა იქნას ოთხ წელიწადში ერთხელ ზაფხულის ოლიმპიური თამაშების დამთავრებიდან ექვსი თვის განმავლობაში მაინც.
2. რიგგარეშე სესიის ჩატარება შესაძლებელია პრეზიდენტის, ან აღმასკომის წევრთა მინიმუმ 1/2-ის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ან საერთო წევრთა მინიმუმ 1/3-ის ინიციატივით.
3. წლიური საანგარიშო სესიისა და საანგარიშო-საარჩევნო სესიის ჩატარების თარიღი, დრო და დღის წესრიგი ცხადდება მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით და ეცნობება სესიაში მონაწილე სეოკ-ის ყველა წევრს სესიის დაწყებამდე მინიმუმ 30 დღით ადრე.
- 3.1. სეოკ-ის ყველა სესიაზე (ყოველწლიური საანგარიშო, საანგარიშო-საარჩევნო ან რიგგარეშე) შესაბამის საერთაშორისო ფედერაციებში გაწევრიანებული სპორტის ოლიმპიურ სახეობათა ფედერაციები წარმოდგენილნი იქნებიან ხმის უფლების მქონე ორი დელეგატით, ისე რომ სპორტის ოლიმპიური სახეობების ფედერაციების დელეგატები, ოლიმპიური ქარტიის შესაბამისად, წარმოადგენდნენ სესიაზე კენჭისყრაში მონაწილე ხმათა უმრავლესობას. საქართველოს ოლიმპიელთა ასოციაციასა და საქართველოს ოლიმპიელთა კლუბს შეუძლიათ სეოკ-ის სესიებზე წარმოდგინონ ხმის უფლების მქონე 5-5 წარმომადგენელი (დელეგატი). მე-IV მუხლის 1.1.1. პარაგრაფში აღნიშნული დანარჩენი სუბიექტები, რომლებსაც განსაზღვრული არ აქვთ წარმომადგენელთა რაოდენობა, წარმოდგენილნი იქნებიან ერთი დელეგატით (ერთი ხმის უფლებით).

- სესიის მუშაობაში ხმის უფლებით წარმომადგენელთა (დელეგატთა) პერსონალური სია განისაზღვრება სეოკ-ის სუბიექტთა (ამ წესდების IV თავი, პარაგრაფი 1.1.1.) ხელმძღვანელების (ან უფლებამოსილი პირების) მიერ ხელმოწერილი და სათანადოდ გაფორმებული დოკუმენტების საფუძველზე.
- 3.2. სესია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სეოკ-ის ხმის უფლების მქონე წევრთა უმრავლესობა (50%+1).
 4. რეგარეშე სესია - გარდა საარჩევნო სესიისა, მოიწვევა ამ პარაგრაფის მე-2 მუხლით გათვალისწინებული წესით, მის ჩატარებამდე მინიმუმ 15 დღით ადრე.
 5. სეოკ-ის აღმასრულებელი კომიტეტი პასუხისმგებელია სესიების ორგანიზებასა და მომზადებაზე.
 6. სესიაზე ოფიციალურად მოწვევა ხდება პრეზიდენტის გადაწყვეტილებით.
 7. სესიის თავმჯდომარეა პრეზიდენტი, ხოლო მისი არყოფნის ან უუნარობის შემთხვევაში - პირველი ვიცე-პრეზიდენტი, ასეთის არყოფნის შემთხვევაში კი - ასაკით უფროსი ვიცე-პრეზიდენტი. სესიის გადაწყვეტილებით, მისი თავმჯდომარე შეიძლება იყოს სეოკ-ის ნებისმიერი წევრი.
 8. გარდა საპრეზიდენტო არჩევნებისა, პრეზიდენტი ადგენს რეგლამენტს ყველა სესიის ჩასატარებლად.
 - 8.1. პრეზიდენტისა და აღმასკომის ყველა წევრის არჩევნების რეგლამენტი განისაზღვრება ამ წესდების მე-X მუხლის შესაბამისად.
 9. სესიებთან და კენჭისყრასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პროცედურას, რომელიც არ არის გათვალისწინებული ოლიმპიური ქარტიით ან ამ წესდებით, პრეზიდენტის თხოვნით ადგენს სეოკ-ის აღმასკომი ან სესია.
 10. სესიის ოქმებისა და სხვა პროცედურების წარმოება ხორციელდება პრეზიდენტის ხელმძღვანელობით.
 11. სესიის პროცედურული მუშაობისთვის აუცილებელია ქვორუმი - სეოკ-ის წევრთა მთლიანი რაოდენობის ნახევარს პლუს ერთი. სესიის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (50%+1).
 - 11.1. სეოკ-ის წესდებაში ცვლილებების მისაღებად საჭიროა სესიაზე დამსწრე დელეგატთა ორი მესამედის თანხმობა.
 12. ყოველ დელეგატს გააჩნია ერთი ხმა. თავის შეკავება ან გაუქმებული ხმები საჭირო უმრავლესობის დათვლისას მხედველობაში არ მიიღება. ოლიმპიური ქარტიის დებულებების შესაბამისად, სესია უფლებამოსილია, თუ დამსწრე დელეგატთა უმრავლესობას წარმოადგენენ სპორტის ოლიმპიურ სახეობათა ფედერაციები, რომლებიც თავის მხრივ შესაბამისი საერთაშორისო ფედერაციების წევრები არიან. კენჭისყრა შეესაძლებელია იყოს ღია ან ფარული, შექმნილი გარემოების მიხედვით.
 - 12.1. სხვის ნაცვლად ხმის მიცემა აკრძალულია.
 - 12.2. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადაწყვეტილებას იღებს სესიის თავმჯდომარე.
 13. სესიამ, დელეგატთა 2/3-ის გადაწყვეტილებით, შეუძლია გადასცეს გარკვეული უფლებამოსილება აღმასკომს.
 14. სესიის ნებისმიერი გადაწყვეტილება წესდებაში ცვლილებების გამოკლებით, ძალაში შედის დაუყოვნებლივ, თუ სესია არ გამოიტანს სხვაგვარ დადგენილებას.
 - 14.1. საკითხი, რომელიც არ არის შეტანილი სესიის დღის წესრიგში, შეიძლება განხილულ იქნას დამსწრეთა უმრავლესობის (50% +1) მოთხოვნით.

15. სესიის ჩატარების დროს დგება ოქმი. ოქმს ხელს აწერს სესიის თავმჯდომარე და მდივანი.
16. სესიას გააჩნია შემდეგი უფლებამოსილებანი:
- 16.1. როგორც რიგითი, ისე საარჩევნო სესია უფლებამოსილია მიიღოს და ცვლილება შეიტანოს სეოკ-ის წესდებაში.
 - 16.2. მოისმინოს და დაამტკიცოს წლიური საანგარიშო მოხსენება და ანგარიშები.
 - 16.3. განსაზღვროს სეოკ-ის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები.
 - 16.4. მოისმინოს საქართველოში ოლიმპიური მოძრაობის განვითარებისა და საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობაში მონაწილეობის საკითხები.
 - 16.5. მიიღოს გადაწყვეტილება ოლიმპიური თამაშებისათვის მზადებისა და მასში მონაწილეობის შესახებ.
 - 16.6. მიიღოს გადაწყვეტილება სეოკ-ის ლიკვიდაციისა და რეორგანიზაციის შესახებ, აგრეთვე დაამტკიცოს სალიკვიდაციო კომისია.
 - 16.7. დაამტკიცოს სეოკ-ის ახალი წევრები და მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება სეოკ-ის წევრობაზე.
 - 16.8. ამ წესდების მიხედვით, საარჩევნო სესიაზე აირჩიოს პრეზიდენტი და სეოკ-ის აღმასკომის წევრები.
 - 16.9. განიხილოს და დაამტკიცოს სეოკ-ის საპატიო პრეზიდენტის, საპატიო წევრისა და მუდმივი წევრის სტატუსი.
 - 16.10. სეოკ-ის მიერ სესიაზე წარდგენილი ფინანსური ანგარიშისა და აუდიტის დასკვნის მოსმენა და მასზე რეაგირება.
 - 16.11. გამოიტანოს გადაწყვეტილება ეროვნული სპორტული ფედერაციების, ასოციაციების და სხვა ორგანიზაციების აღიარების გაცემისა ან გაუქმებასთან დაკავშირებით.
 - 16.12. გარიცხოს სეოკ-ის წევრები და გააუქმოს საპატიო პრეზიდენტის, საპატიო წევრისა და მუდმივი წევრის სტატუსი.
 - 16.13. დააწესოს სეოკ-ის ჯილდოები და განსაზღვროს დაჯილდოების წესები, პირობები და ფორმები.
 - 16.14. მიიღოს გადაწყვეტილება მისთვის კანონით დაკისრებულ და ოლიმპიური ქარტიით გათვალისწინებულ სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

IX. სეოკ-ის აღმასრულებელი კომიტეტი (გამგეობა)

1. სესიებს შორის პერიოდში მართვის ფუნქციებს ახორციელებს საანგარიშო-საარჩევნო სესიის მიერ არჩეული სეოკ-ის აღმასრულებელი კომიტეტი (გამგეობა) - აღმასკომი.
2. სეოკ-ის აღმასკომის წევრებისა და ვიცე-პრეზიდენტების რაოდენობრივ შემადგენლობას, რომელიც ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს 17-ს, განსაზღვრავს საანგარიშო-საარჩევნო სესია. მათ პერსონალურ სიას სესიას წარუდგენს პრეზიდენტი და ამტკიცებს სესია. ოლიმპიური ქარტიისა და ამ მუხლის მე-5 პარაგრაფის თანახმად, შესაბამის საერთაშორისო ფედერაციაში გაწევრიანებული და თამაშების პროგრამაში

შეტანილი სპორტის ეროვნულ ოლიმპიურ სახეობათა ფედერაციების წარმომადგენლები უნდა წარმოადგენდნენ აღმასკომის წევრთა ხმის უფლების მქონე უმრავლესობას.

აღმასკომის შემადგენლობაში არჩეულ უნდა იქნას სეოკ-ის სპორტსმენთა კომისიის მიერ რეკომენდებული (არჩეული) მინიმუმ ერთი წარმომადგენელი მაინც.

ამასთან, აღმასკომის წევრის ასაკი არჩევნების დღეს არ უნდა აღემატებოდეს 70 წელს, გარდა აღმასკომის მაქსიმუმ 2 (ორი) არჩეული წევრისა (პრეზიდენტის გამოკლებით, რომლის ასაკობრივი ზღვარი დადგენილია წინამდებარე წესდების X მუხლის 1 პარაგრაფით), რომლის ასაკი ამ პერიოდისთვის იქნება 70 წელზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 80 წლისა.

3. სეოკ-ის წევრი, რომელიც არ ესწრება სესიის სხდომას, შეიძლება დასახელებულ იქნას აღმასკომის წევრობის კანდიდატად იმ შემთხვევაში, თუ ასეთი პირისაგან აღმასკომს აქვს წერილობითი თანხმობა.
4. ობიექტური მიზეზის გამო აღმასკომის წევრის (წევრების) გამოკლების ან შეცვლის აუცილებლობის შემთხვევაში, უახლოეს სესიამდე შესაძლებელია აღმასკომის სხდომაზე ახალი წევრების კანდიდატურების განხილვა და არჩევა. შემდგომ ისინი დასამტკიცებლად წარედგინება სეოკ-ის მომდევნო სესიას.
5. აღმასკომის შემადგენლობაში უმრავლესობას უნდა წარმოადგენდნენ სპორტის ოლიმპიური სახეობების ფედერაციათა წარმომადგენლები, რომლებიც თავის მხრივ შესაბამისი საერთაშორისო ფედერაციების წევრები არიან.
6. პრეზიდენტის მოწვევით, აღმასკომი იკრიბება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ 4-ჯერ მაინც წელიწადში (რიგგარეშე სხდომა ინიშნება პრეზიდენტის ან აღმასკომის წევრთა ნახევრის მოთხოვნით).
7. აღმასკომის სხდომის ჩატარების შესახებ დღის წესრიგი აღმასკომის თითოეულ წევრს ეგზავნება წერილობით, ეცნობება ელ-ფოსტით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებებით სხდომის ჩატარებამდე არაუგვიანეს 10 დღისა.
8. აღმასკომის სხდომის თავმჯდომარეა პრეზიდენტი, ხოლო მისი არყოფნის ან უუნარობის შემთხვევაში - პირველი ვიცე-პრეზიდენტი. ამ უკანასკნელის არყოფნის ან უუნარობის შემთხვევაში -ასაკით უფროსი ვიცე-პრეზიდენტი.
9. აღმასკომის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა უმრავლესობა.
10. აღმასკომის სხდომა გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უმრავლესობით.
11. აღმასკომის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა.
12. მინდობილობით ხმის მიცემა აკრძალულია.
13. ხმის მიცემა ხდება ღია კენჭისყრით, ან ფარული კენჭისყრით, თუ ასე მოითხოვს დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადაწყვეტილებას იღებს სხდომის თავმჯდომარე.
14. ხმების დათვლისას თავის შეკავება ან გაუქმებული ხმები არ მიიღება მხედველობაში.
15. პრეზიდენტი პასუხისმგებელია სეოკ-ის აღმასრულებელი კომიტეტის ყველა შეკრების ორგანიზებასა და მომზადებაზე. მას შეუძლია ამ მიზნით თავისი უფლებამოსილება ნაწილობრივ გადასცეს პირველ ვიცე-პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტს ან გენერალურ მდივანს.

16. აღმასკომის სხდომასთან დაკავშირებული პროცედურების ნებისმიერ საკითხს, რომელსაც არ მოიცავს სეოკ-ის წესდება და ოლიმპიური ქარტია, ადგენს პრეზიდენტი.
17. სეოკ-ის პრეზიდენტს შეუძლია ჩაატაროს აღმასკომის სხდომა ტელე-აუდიო კონფერენციის ან გამოკითხვის წესით.
18. აღმასკომის ყველა სხდომის ოქმებისა და სხვა პროცედურების წარმოება ხორციელდება პრეზიდენტის ხელმძღვანელობით და დასტურდება მისი ხელმოწერით, ან იმ პირის ხელმოწერით, რომელიც ასრულებს პრეზიდენტის მოვალეობას, აგრეთვე გენერალური მდივნის ხელმოწერით.
19. ამ წესდებაში ზემოწამოთვლილი უფლება-მოვალეობის გარდა, აღმასკომი იღებს გადაწყვეტილებებს ხმათა უბრალო უმრავლესობით შემდეგ საკითხებზე:
 - 19.1. სეოკ-ის წესდების მოთხოვნათა უზრუნველყოფისა და სეოკ-ის სესიის გადაწყვეტილებების შესრულების შესახებ.
 - 19.2. სესიის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, სეოკ-ის საერთო ადმინისტრაციულ-ტექნიკური და ოპერატიული ხელმძღვანელობის შესახებ.
 - 19.3. სეოკ-ის სესიის დღის წესრიგის შესახებ.
 - 19.4. ქვეყნის სპორტული ფედერაციების, საზოგადოებებისა და ასოციაციების აღიარების შესახებ.
 - 19.5. აუდიტის მოწვევისა და მისი ანგარიშის შესახებ.
 - 19.6. სეოკ-იდან გასასვლელ ან გასარიცხ პირთა შესახებ, რაც ექვემდებარება სესიის მიერ საბოლოო რატიფიკაციას.
 - 19.7. სეოკ-ის მიმდინარე და პერსპექტიული გეგმების, აგრეთვე - პროგრამის შედგენისა და მათი შესრულების უზრუნველყოფის შესახებ.
 - 19.8. სეოკ-ს აღმასკომი იღებს გადაწყვეტილებას: როგორც ქონების განკარგვისა და მართვის, ასევე ფულადი სახსრების მოძიებისა და მისი მიზნობრივი ხარჯვის შესახებ.
 - 19.9. სეოკ-ის შემოსავლებიდან სარეზერვო, საქველმოქმედო და სხვა ფონდების შექმნის შესახებ.
 - 19.10. სეოკ-ის ყოველწლიური მოხსენება-ანგარიშის მომზადების შესახებ.
 - 19.11. სეოკ-ის ყოველწლიური შემოსავალ-გასავლის ანგარიშის მომზადების შესახებ.
20. ამტკიცებს სეოკ-ის ფინანსურ და ადმინისტრაციულ საქმიანობათა ნუსხას და კონტროლს აწესებს მათ შესრულებაზე.
21. სეოკ-ის წევრების მიერ ამ წესდების დარღვევის შემთხვევაში განიხილავს საკითხს და ახდენს რეაგირებას, ამზადებს წინადადებებს მათ მიმართ სპეციალურ ღონისძიებათა გასატარებლად.
22. საქართველოს სპორტულ ფედერაციებთან, სხვა სპორტულ სტრუქტურებთან ერთად განიხილავს და ამტკიცებს ოლიმპიური თამაშებისთვის გუნდის მომზადების გეგმებს, უზრუნველყოფს მათი შესრულების შემდგომ კონტროლს და ადგენს დაფინანსებასთან დაკავშირებულ ძირითად კრიტერიუმებს. ამტკიცებს ამ გუნდების შემადგენლობას ოლიმპიურ თამაშებზე, სეოკ-ის, ეოკა-ს და ეოკ-ის პატრონაჟობით ორგანიზებულ სხვა შეჯიბრებებზე გასამგზავრებლად.
23. წყვეტს სეოკ-ის წევრთა შორის ყველა სადავო საკითხს.
24. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ქმნის სეოკ-ის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს, სპორტულ კომისიებს, ამტკიცებს მათ.

25. განიხილავს და ახდენს რეაგირებას სეოკ-ის კომისიებიდან მიღებული დასკვნების შესაბამისად.
26. მომართვებზე და შემოსულ კორესპონდენციებზე არა უმეტეს ერთი თვის ვადაში განიხილავს და ახდენს რეაგირებას (გარდა ისეთი საკითხებისა, სადაც ვადა სხვაგვარადაა განსაზღვრული).
27. ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტთან თანამშრომლობის მიზნით, სეოკ-ის აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლია დანიშნოს თავისი წარმომადგენელი (ატაშე) და შექმნას ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტთან კომუნიკაციის კომისია.

X. სეოკ-ის პრეზიდენტის არჩევა

1. სეოკ-ის პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს დაბადებით საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 10 წელიწადი მაინც და არჩევნების დანიშნვის დღეს ცხოვრობს საქართველოში. სეოკ-ის პრეზიდენტად არჩევა ხდება ოთხი წლის ვადით და შესაძლებელია არჩეულ იქნას ხელახლა ოთხწლიანი ვადებით. ამასთან, არჩევის მომენტისთვის მისი ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 70 წელს.
- 1.1. სეოკ-ის პრეზიდენტის თანამდებობაზე კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვთ მხოლოდ სეოკ-ის აღმასკომს, სპორტის ოლიმპიურ სახეობათა ეროვნულ ფედერაციებს, სპორტის ეროვნულ კონფედერაციას (ზაფხულის და ზამთრის სახეობები - ასეთის არსებობის შემთხვევაში), საქართველოს ოლიმპიელთა ასოციაციისა და საქართველოს ოლიმპიელთა კლუბის არჩევით ხელმძღვანელ ორგანოებს; სეოკ-ის პრეზიდენტის თანამდებობაზე ამ პუნქტით განსაზღვრული სუბიექტების მიერ შესაძლებელია წარდგენილ იქნას პირი, რომელსაც გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირობების დაკმაყოფილებისა, სეოკ-ის პრეზიდენტის თანამდებობაზე კანდიდატურის წარდგენამდე ბოლო ოლიმპიური ციკლის (4 წელი) განმავლობაში აქვს სეოკ-ის წევრ რომელიმე ორგანიზაციაში ხელმძღვანელ, კერძოდ - პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტის ან/და გენერალური მდივნის თანამდებობაზე მუშაობის სულ მცირე ოთხწლიანი გამოცდილება.
- 1.2. სეოკ-ის პრეზიდენტობის პოსტზე ასარჩევი კანდიდატურის შესახებ სათანადოდ გაფორმებული განცხადება იგზავნება სეოკ-ის შტაბ-ბინაში საანგარიშო-საარჩევნო სესიის ჩატარებამდე არაუგვიანეს 10 დღით ადრე.
- 1.3. სეოკ-ის ოფისი პრეზიდენტობის პოსტზე წარმოდგენილი ყველა კანდიდატის შესახებ ინფორმაციას გადაუგზავნის სესიის ხმის უფლების მქონე წევრებს, ან განათავსებს სეოკ-ის ვებ-გვერდზე და გამოაქვეყნებს პრესაში.
2. არჩევნების ჩატარებამდე საანგარიშო-საარჩევნო სესია აირჩევს დამოუკიდებელ საარჩევნო კომისიას 3 კაცის შემადგენლობით, რომელიც ჩაატარებს და უხელმძღვანელებს არჩევნების მთელ პროცესს. კომისიის წევრებს არ უნდა ჰქონდეთ დაკავებული სეოკ-ში რაიმე პოზიცია, უნდა იყვნენ დამოუკიდებელი და ნეიტრალური პირები და არ უნდა იყვნენ დაინტერესებული არჩევნებით.
3. მხოლოდ ერთი კანდიდატურის არსებობის შემთხვევაში, არჩევნები შესაძლებელია ჩატარდეს ღია კენჭისყრით და კანდიდატი არჩეულად გამოცხადდეს, თუ დაგროვილი ხმები შეადგენს მინიმუმ 50% +1. ერთზე მეტი

კანდიდატურის არსებობის შემთხვევაში, არჩევნები ჩატარდება ფარული კენჭისყრით. საარჩევნო კომისია მოამზადებს გამჭვირვალე ყუთს და საარჩევნო ფურცლები გადაეცემა სესიაზე ხმის უფლების მქონე ყველა დელეგატს. ყოველი დამსწრე დელეგატი პიროვნულად აძლევს ხმას. ხმის მიცემის პროცედურის დასრულების შემდეგ საარჩევნო კომისია ხსნის საარჩევნო ყუთს და საჯაროდ ითვლის ხმებს. ორი კანდიდატურის შემთხვევაში არჩეულად ცხადდება ის პირი, რომელმაც დააგროვა ხმების 50% +1. ორზე მეტი კანდიდატურის არსებობის შემთხვევაში, თუ პირველი ტურის შედეგად ვერცერთი ვერ დააგროვებს ხმათა მინიმუმ 50% +1, გამოცხადდება მეორე ტური იმ ორ კანდიდატს შორის, რომლებმაც მოიპოვეს ხმათა უმეტესი რაოდენობა. მეორე ტურის შედეგად კანდიდატი, რომელიც დააგროვებს ხმების უმრავლესობას (50%+1) ცხადდება არჩეულად.

3.1 საანგარიშო-საარჩევნო სესიაზე არჩეული სეოკ-ის პრეზიდენტი დელეგატებს წარუდგენს თავის წინადადებებს აღმასკომის რაოდენობრივი შემადგენლობის შესახებ პირველი ვიცე-პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტების, გენერალური მდივნისა და სხვა წევრების გათვალისწინებით.

4. საარჩევნო კომისიის მანდატი იწურება ახალი პრეზიდენტისა და აღმასკომის ყველა წევრის არჩევის შემდეგ.

5. ოქმი სეოკ-ის საანგარიშო სესიის, ჩატარებული არჩევნებისა და აღმასკომის წევრთა განახლების შესახებ ეგზავნება საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს. ყველა დოკუმენტი ხელმოწერილი და დამტკიცებული უნდა იყოს სეოკ-ის პრეზიდენტისა და გენერალური მდივნის მიერ.

6. პრეზიდენტი:

- წარმოადგენს სეოკ-ს, ხელმძღვანელობს მის ნებისმიერ საქმიანობას და წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში.
- პასუხს აგებს სეოკ-ზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;
- განაგებს კადრების საკითხებს.
- ხელმძღვანელობს ოლიმპიური კომიტეტის აპარატის საქმიანობას.
- აწარმოებს საერთაშორისო კავშირ-ურთიერთობებს.
- დებს ხელშეკრულებებს და მოქმედებს სეოკ-ის სახელით როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ.
- კოორდინაციას უწევს სპონსორებთან ურთიერთობის საკითხებს.
- პასუხისმგებელია სეოკ-ის აღმასკომის ყველა სხდომის მომზადებაზე, ხელმძღვანელობს აღმასკომის სხდომებს.
- განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებებს სპორტული დელეგაციების, აღმასკომის წევრებისა თუ აპარატის მუშაკთა მივლინებების შესახებ.
- უფლებამოსილია სეოკ-ის აღმასკომის დადგენილებით მიიღოს გადაწყვეტილება სოკ-ისა და სხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციებიდან მიღებული, მოძიებული დახმარებების, გრანტების და სხვა სპეციალური ფონდების ხარჯვაზე, განკარგვაზე, გასხვისებაზე.

- უფლებამოსილია საგამომცემლო საქმიანობიდან და სეოკ-ის ემბლემის გამოყენების ლიცენზიისაგან მიღებული შემოსავლების განაწილებაზე.
 - სეოკ-ის სახელით ანსორციელებს ქმედებებს და იღებს გადაწყვეტილებებს თუ გარემოებები არ იძლევა შესაძლებლობას, რომ საკითხები ოპერატიულად იქნას გადაწყვეტილი სესიისა ან აღმასკომის მიერ.
 - ამტკიცებს სეოკ-ის აპარატის საშტატო განრიგს, ორგანიზაციას უკეთებს შრომითი ხელშეკრულებების გაფორმებას, იღებს გადაწყვეტილებებს პერსონალის სამუშაოზე მიღებისა, ხელფასის ოდენობისა და გათავისუფლების შესახებ.
 - აღმასკომთან შეთანხმებით იღებს გადაწყვეტილებებს სეოკ-ის ქონების აქტივების განკარგვისა და პრემიალური ფონდის დამტკიცების შესახებ.
 - აღმასკომს წარუდგენს ოლიმპიური დელეგაციისა და მისიის ხელმძღვანელის კანდიდატურას.
 - დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და პირებთან ერთად განიხილავს და ამტკიცებს ოლიმპიური დელეგაციის შემადგენლობას.
 - ანაწილებს ფუნქციებს ვიცე-პრეზიდენტებს, გენერალურ მდივანსა და აღმასკომის წევრებს შორის. შეხედულებისამებრ შეუძლია თავისი უფლებამოსილება გადასცეს პირველ ვიცე-პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტს ან აღმასკომის სხვა წევრს.
7. სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტების და გენერალური მდივნის უფლებამოსილებები განისაზღვრება პრეზიდენტის სპეციალური განკარგულებით მათი პროფესიული და საქმიანი თვისებების გათვალისწინებით, რაც საბოლოოდ მტკიცდება აღმასკომის სხდომაზე.
8. წინამდებარე წესდების მიზნებისთვის, ოლიმპიური ციკლი აითვლება ზაფხულის ოლიმპიური თამაშებიდან.

XI. სეოკ-ის დაფინანსების წყაროები

1. სეოკ-ის დაფინანსების წყაროებია:
 - მიზნობრივი სახელმწიფო სუბსიდია.
 - სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ბანკების, კომპანიების, ფირმების, გაერთიანებების, ფონდების, სპონსორების, საზოგადოებების, აგრეთვე ცალკეულ პირთა შემოწირულობანი, როგორც ეროვნული, ისე უცხოური ვალუტით, რომელთა მიღება სეოკ-ის მიერ მიზანშეწონილად ჩაითვადა.
 - ჩუქებით ან ანდერძით მიღებული ქონება.
 - საგამომცემლო საქმიანობებიდან და სეოკ-ის ემბლემის გამოყენების ლიცენზიისაგან მიღებული შემოსავალი.
 - საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ისეთი კომერციული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც არ ეწინააღმდეგება ოლიმპიურ ქარტიასა და სეოკ-ის წესდებას.
 - სოკ-ისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული დახმარებანი და გრანტები.
2. სეოკ-ის ფინანსური სახსრების განმკარგავად ითვლება სეოკ-ის პრეზიდენტი.

3. სეოკ-ის ფულადი სახსრებისა და ქონების მოზიდვა-შეგროვება და განკარგვა უნდა მოხდეს სეოკ-ის ღირსების დაცვით და მისი სახელმწიფოსაგან ან სხვა კომერციული ორგანიზაციისაგან დამოუკიდებლობის შენარჩუნებით.
4. სეოკ-ის აუდიტს შეარჩევს აღმასკომი და ამტკიცებს სეოკ-ის სესია. სეოკ-ის ფინანსური საქმიანობის ანგარიშებს ამტკიცებს აღმასკომი, ხოლო მისი რატიფიკაცია ხორციელდება ყოველწლიურ საანგარიშო სესიაზე.

XII. სეოკ-ის პასუხისმგებლობა

1. სეოკ-ი პასუხისმგებელია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წინაშე საქართველოში ოლიმპიური ქარტიის იმ დებულებათა დაცვაზე, რომლებიც შეეხება ოლიმპიური სიმბოლოს, დროშის, დევიზის და ჰიმნის, სახელწოდებების - „ოლიმპიური“ და „ოლიმპიკადა“ გამოყენებას.
2. სეოკ-ს შეუძლია თავისი საქმიანობის ფარგლებში გამოიყენოს ოლიმპიური სიმბოლო, დროშა, დევიზი და ჰიმნი, რომელიც არ არის გამიზნული შემოსავლის მისაღებად და ხელს უწყობს ოლიმპიური მოძრაობის განვითარებას მისი ღირსების დაცვით, იმ პირობით, თუ ასეთ გამოყენებაზე წინასწარ არის მიღებული სოკ-ის აღმასკომის თანხმობა.

XIII. სეოკ-ის სიმბოლიკა

1. სეოკ-ს გააჩნია საკუთარი ემბლემა, რომლის დიზაინი დამზადებულია ოლიმპიური ქარტიის მოთხოვნათა შესაბამისად. სეოკ-ის ემბლემა დამტკიცებული უნდა იყოს სოკ-ის მიერ.
2. აუცილებლობის შემთხვევაში, სეოკ-ს შეუძლია დახმარებისათვის მიმართოს სოკ-ს ოლიმპიური დროშის, სიმბოლოს, ცეცხლისა და დევიზის დასაცავად ან მესამე მხარესთან გარკვეული სადავო საკითხის მოსაგვარებლად.
3. სეოკ-ი საქართველოს სახელმწიფო დროშასა და ჰიმნს იყენებს ოლიმპიურ თამაშებზე, კონტინენტურ თუ რეგიონალურ შეჯიბრებებზე და სოკ-ისა და სეოკ-ის ეგიდით ორგანიზებულ სხვა ღონისძიებებზე.
4. სეოკ-ს შეუძლია საკუთარი დროშისა და ჰიმნის გამოყენება თავის საქმიანობაში.

XIV. სიმბოლიკის გამოყენების წესი

1. სეოკ-ი საკუთარი ემბლემის კომერციული მიზნით გამოყენებასთან დაკავშირებით სოკ-ის წინაშე კისრულობს შემდეგ ვალდებულებებს:
 - არ გამოიყენოს ემბლემა ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმის რეკლამის მიზნით.

- ნებისმიერი ტექსტი ან საგანი სოკ-ის ემბლემის გამოსახულებით დასამტკიცებლად წარუდგინოს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს.
- სოკ-ის ემბლემის გამოყენებამ ზიანი არ უნდა მიაყენოს ოლიმპიური მოძრაობის პრესტიჟს.
- მოთხოვნის შემთხვევაში, სოკ-ს უნდა წარუდგინოს სოკ-ის მიერ დადებული ნებისმიერი ხელშეკრულება.

XV. დავების გადაწყვეტა

1. სპორტსა და ოლიმპიურ მოძრაობაში საქართველოსა და საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს სპორტსმენების, მწვრთნელების, სპორტის მუშაკების პროფესიული საქმიანობის პერიოდში წამოჭრილი ყველა სადავო საკითხი გადაწყდება სოკ-ის აღმასკომის ან მის მიერ ამ მიზნით შექმნილი სპეციალური კომისიის მიერ. ადგილობრივ დონეზე კომპეტენტური ორგანოს მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება, საკითხის მოუგვარებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია აპელაციის სახით წარუდგინოს სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს ლოზანაში (შვეიცარია), სადაც საკამათო საკითხი გადაიჭრება სპორტში საარბიტრაჟო კოდექსის შესაბამისად. აპელაციის წარსადგენად დადგენილი ვადა შეადგენს გადაწყვეტილების მიღებიდან ოცდაერთ (21) დღეს.

XVI. სტრუქტურული ქვედანაყოფები

1. სოკ-ის რეგიონალური ქვედანაყოფის (ფილიალების) მუშაობა რეგლამენტირებულია სოკ-ის აღმასკომის მიერ დამტკიცებული დებულებითა და სოკ-ის რეგიონალური ქვედანაყოფების (ფილიალების) წარმომადგენელთა საბჭოს გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

XVII. განმარტებები სოკ-ის წესდების თაობაზე

1. საქართველოს სოკ-ის წესდება სრულად შეესაბამება ოლიმპიურ ქარტიას და ამ დოკუმენტის უშუალო განხორციელებას წარმოადგენს.
2. სოკ-ის წესდების თარგმნასთან დაკავშირებით რაიმე ეჭვის, ან ოლიმპიურ ქარტიასთან მისი შეუსაბამობის შემთხვევაში, პრიორიტეტი ენიჭება ოლიმპიურ ქარტიას.
3. სოკ-ის წესდება განსახილველად და დასამტკიცებლად ეგზავნება საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს. სოკ-ის მიერ უკვე დამტკიცებულ წესდებაში შეტანილი ნებისმიერი შემდგომი ცვლილების შეტანისას, დოკუმენტი ხელმეორედ ეგზავნება დასამტკიცებლად საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს.

XVIII. სეოკ-ის იურიდიული მისამართი

1. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შტაბ-ბინა განთავსებულია საქართველოში: ქ.თბილისი 0105, მაჩაბლის ქ. №11.

XIX. სეოკ-ის ლიკვიდაცია

1. საქართველოს ეოკ-ის სესია წყვეტს თავის საქმიანობას სეოკ-ის წევრთა არანაკლებ 2/3-ის მხარდაჭერით. სეოკ-ის ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, სეოკ-ის სესია ნიშნავს სალიკვიდაციო კომიტეტს და მტკიცდება მისი მუშაობის საპროცედურო წესები.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ეოკ-ებთან ურთიერთობის დეპარტამენტი

ბატონ ლერი საბელოვს
საქართველოს ეროვნული
ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს

ბატონ ემზარ ზენაიშვილს
საქართველოს ეროვნული
ოლიმპიური კომიტეტის
გენერალურ მდივანს

ლოზანა, 2020 წლის 25 მარტი

თემა: სეოკ-ის წესდების განახლება, დამტკიცებული სოკ-ის მიერ

პატივცემულო პრეზიდენტო,
პატივცემულო გენერალური მდივანო,

მოხარული ვართ გაცნობოთ, რომ ოლიმპიური ქარტის შესაბამისად, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა დაამტკიცა თქვენი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის განახლებული წესდება (ინგლისური ვერსია), რომელიც მიღებულია სეოკ-ის გენერალური ასამბლეის მიერ 2019 წლის 18 დეკემბერს და შემდგომ შესწორებული და რატიფიცირებულია გენერალური ასამბლეის წევრების მიერ 2020 წლის 4 თებერვალს.

დამტკიცებული წესდების რეგისტრაციის თარიღია 2020 წლის 25 მარტი.

გვსურს თქვენი ყურადღება გავამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ ნებისმიერი შემდგომი ცვლილება სეოკის წესდებაში, რომელიც განხორციელდება თქვენი ინიციატივით ან სოკ-ის თხოვნით, ასევე საჭიროებს საბოლოო დასტურს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მხრიდან.

მადლობას მოგასხენებთ ამ პროცესში გამოვლენილი ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის.

პატივისცემით,

ჯეიმს მაკლუდი

ოლიმპიური სოლიდარობის
და ეოკ-ებთან ურთიერთობის
დეპარტამენტის დირექტორი

ჟერომ პოივეი

ინსტიტუციონალური ურთიერთობისა და მმართველობის სამსახურის უფროსი.
ეოკ-ებთან ურთიერთობის დეპარტამენტი